



**პარლამენტი მოქალაქეებისთვის  
დახურული უწყება ხდება -  
შენობაში შესვლის წესები  
მკაცრდება**



**საერთაშორისო  
ბამჭვირვალობა  
საქართველო**

პარლამენტმა 4 სექტემბერს დაამტკიცა პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის განახლებული **წესები**, რომელიც მნიშვნელოვნად აუარესებს პარლამენტის ღიაობასა და გამჭვირვალობას. უსაფრთხოების მოტივით პარლამენტმა შეზღუდა საზოგადოების ჩართულობა მის საქმიანობაში. ახალი წესები ასევე წინააღმდეგობაშია გამოსატყვის თავისუფლებასთან და წარმოადგენს პარლამენტის დახურულ უწყებად ქცევის იმ პოლიტიკის გაგრძელებას, რომელსაც უკანასკნელი წლებია ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანო ატარებს.

**ვის აქვს პარლამენტის შენობაში შესვლის უფლება?**

- **პარლამენტის წევრი** ან პარლამენტის **აპარატის თანამშრომელი**
- **ვიზიტორი** - ვიზიტორად მიიჩნევა პარლამენტის სასახლეში მყოფი პირი, რომელიც არ არის საქართველოს პარლამენტის წევრი ან პარლამენტის აპარატის თანამშრომელი

**ვიზიტორების პარლამენტში შესვლის წესი**

ვიზიტორისთვის საშვი დაიშვება საშვთა ბიუროში სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

მოქალაქეს პარლამენტში შესვლა წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში შეუძლია. კერძოდ, საშვის დამშვები ვალდებულია მიუთითოს ვიზიტორის პარლამენტში **შესვლის კონკრეტული მიზანი**:

- **შეხვედრა** (საშვის დამშვებ პირთან, მის ხელმძღვანელთან ან მისი სტრუქტურული ერთეულის რომელიმე თანამშრომელთან)
- **ღონისძიებაში მონაწილეობა** (უნდა მიეთითოს ღონისძიების დასახელება).

ღონისძიებაში მონაწილეობისთვის საშვის დაშვება მხოლოდ ამ ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს ან პირს შეუძლია.

1-წლიან საშვს გასცემს აპარატის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით იმ პირზე, რომელიც არ არის აპარატის თანამშრომელი, თუმცა ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად პარლამენტის სასახლეში რეგულარულად შესვლა ესაჭიროება.

ვიზიტორის პარლამენტის **პლენარულ სხდომათა დარბაზის** ვიზიტორთა სივრცეში შესვლისა და სხდომაზე დასწრების საკითხს წყვეტს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რის შესახებაც წერილობით ეცნობება მანდატურის სამსახურს.

პირი საქართველოს პარლამენტში შეიძლება შევიდეს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენისა და
- ლითონის დეტექტორით შემოწმების შემდეგ.

## რისი შეტანა იკრძალება პარლამენტის შენობაში?

აპარატის ნებართვის გარეშე დაუშვებელია შემდეგი ნივთების შეტანა:

- **სადემონსტრაციოდ განკუთვნილი ნივთები (ბანერი, პოსტერი და სხვა);**
- ხმის გამაძლიერებელი და ხმოვანი სიგნალის მოწყობილობები.

აკრძალაულია შემდეგი ნივთების/ნივთიერებების შეტანა:

- ცივი იარაღი;
- ასაფეთქებელი საშუალებები;
- აფეთქებასაშიში ნივთიერები;
- სხვა ისეთი ნივთის ან ნივთიერების შეტანა, რომლითაც შეიძლება დაირღვეს პარლამენტის სასახლეში არსებული წესრიგი და სამუშაო გარემო ან საფრთხე შეექმნას სასახლეში მყოფ პირებს;
- ცხოველები.

პარლამენტის სასახლეში ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა აკრძალულია ყველასთვის, გარდა სახელმწიფო სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფი პირებისა და უცხო ქვეყნების დელეგაციების დაცვის წევრებისა, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლებისა.

სხვა პირებისთვის, ვისაც აქვთ იარაღის ტარების უფლება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური უზრუნველყოფს იარაღის დროებით საცავში შენახვას.

## ვიზიტორის ქცევის წესები

ვიზიტორი **ვალდებულია:**

- პარლამენტში დაიცვას სიმშვიდე და წესრიგი;
- თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პარლამენტის საქმიანობას და პარლამენტში მიმდინარე ღონისძიების მსვლელობას;
- პარლამენტში ვიზიტისას მისი ჩაცმულობა შეესაბამებოდეს პარლამენტში არსებულ სამუშაო გარემოს;
- ვიზიტორის მოწმობა გამოსაჩენ ადგილას ატაროს;
- დაემორჩილოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლისა და მანდატურის მითითებებს

ვიზიტორს **ეკრძალება:**

- **პარლამენტის სასახლეში ტრანსპარანტის გამოფენა და საინფორმაციო მასალის დარიგება, აგრეთვე სადემონსტრაციოდ განკუთვნილი მასალის (პლაკატის, ბანერის, წარწერისა და სხვა) გაკვრა ან სხვაგვარად განთავსება;**
- **პარლამენტის სასახლეში ჟურნალისტური საქმიანობის აკრედიტაციის გარეშე განხორციელება;**
- **პარლამენტის წევრებისთვის ბრიფინგის ჩასატარებლად განსაზღვრულ სივრცეში ჟურნალისტებთან კომუნიკაცია პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის თანხმობის გარეშე.**

## პასუხისმგებლობა ქცევის წესების დარღვევისთვის

- მანდატური უფლებამოსილია ვიზიტორს ქცევის წესების დარღვევის შეწყვეტა, ხოლო მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, პარლამენტის დატოვება მოსთხოვოს.
- პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია დარღვევის სიმძიმისა და მისი გამეორების რისკის შეფასების საფუძველზე ვიზიტორს პარლამენტში 1 წლამდე ვადით შესვლა შეუზღუდოს. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით.

## პარლამენტის შენობაში ჟურნალისტებთან კომუნიკაციის წესი

**ვიზიტორებს** და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს ეკრძალებათ პარლამენტის წევრებისთვის ბრიფინგის ჩასატარებლად განსაზღვრულ სივრცეში ჟურნალისტებთან კომუნიკაცია პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის თანხმობის გარეშე.

### შეფასება

პარლამენტის უსაფრთხოების დაცვის განახლებული წესები მნიშვნელოვნად ზღუდავს საპარლამენტო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, რაც საბოლოოდ პარლამენტს დახურულ უწყებად აქცევს.

განახლებული წესები, რომლის თანახმადაც, ვიზიტორს პარლამენტის აპარატის თანხმობის გარეშე ეკრძალება ბრიფინგის ჩასატარებელ სივრცეში ჟურნალისტებთან კომუნიკაცია და პარლამენტის შენობაში იკრძალება სადემონსტრაციო ბანერების და პოსტერების შეტანა, წინააღმდეგობაშია გამოსატყვის თავისუფლებასთან. პოლიტიკური შინაარსის გამოსატყვა განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დაცული. მისი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საფრთხე ემუქრება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას და სხვა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესს. დაუშვებელია გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკური შინაარსის გამოსატყვა პარლამენტის წევრებს უქმნის დისკომფორტს.

2023 წლის 5 ოქტომბერს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მომზადდა პარლამენტის შინაგანაწესის ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც, პარლამენტის აპარატის თანამშრომელს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და დეპარტამენტის თანხმობის გარეშე ბრიფინგის ჩასატარებელ სივრცეში ჟურნალისტებთან კომუნიკაცია აეკრძალებათ.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტის ღიაობა და გამჭვირვალობა გადამწყვეტია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. პარლამენტი ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების ჩართულობას საპარლამენტო ცხოვრებაში. ახალი წესებით პარლამენტის შენობაში საშვის დაშვების პროცედურები მკაცრდება და აუცილებელი ხდება პარლამენტში შესვლის კონკრეტული მიზნის აღრიცხვა. აღნიშნული შეზღუდვა გაუმართლებელია, ვინაიდან შეზღუდვები მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით უნდა მოქმედებდეს და თუკი ამ მიზანს არ ემუქრება საფრთხე, მოქალაქეს თავისუფლად უნდა შეეძლოს კომიტეტის სხდომებსა და პარლამენტში გამართულ ღია ღონისძიებებზე დასწრება.

მე-10 მოწვევის პარლამენტმა პარლამენტის დახურულ და გაუმჭვირვალე უწყებად ქცევის პოლიტიკის განხორციელება უკანასკნელი წლებია აქტიურად დაიწყო და ახალი წესებიც ამის გაგრძელებაა.

პარლამენტის წევრებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს პარლამენტის შენობაში შესვლა არაერთხელ დაუსაბუთებლად შეეზღუდათ. საკანონმდებლო ორგანოში წესად დამკვიდრა უსაფრთხოების რეჟიმის გამოცხადება და საშვების დაშვების შეზღუდვა, როდესაც პარლამენტში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხი განიხილება და კრიტიკული შეფასებები

მოსალოდნელი. ამასთან ერთად, სხვადასხვა პერიოდში პარლამენტის შენობის შესასვლელში [რკინის](#) ჯებირი იყო [განთავსებული](#).

2022 წლიდან პარლამენტის დახურულ უწყებად ქცევის პოლიტიკა პარლამენტის მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებსაც შეეხოთ. პარლამენტმა მუდმივი საშვები გაუქმა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს, რომლებიც პარლამენტის მონიტორინგს ახორციელებენ, რაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა პარლამენტის საქმიანობაზე დაკვირვების პროცესში. პარლამენტის შენობაში წლებია სამუშაო სივრცით სარგებლობდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2022 წელს 5 საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციას პარლამენტში სამუშაო სივრცის დატოვება მოსთხოვეს რემონტის მოტივით, რასაც მალევე მოჰყვა მათთვის საშვების გაუქმება.

2023 წელს ამოქმედდა მედიის აკრედიტაციის განახლებული [რეგულაციები](#), რომელმაც პარლამენტი კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის კიდევ უფრო დახურული და გაუმჭვირვალე [უწყება გახდა](#), რაც თავის მხრივ, აისახება მოსახლეობის ინფორმირების ხარისხზე და საფრთხის შემცველია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებისათვის.

2023 წელს პარლამენტმა მხარი დაუჭირა [ცვლილებებს](#), რომლის თანახმადაც, პარლამენტის ყოფილ წევრს საშვის გარეშე შესვლა აღარ შეუძლია პარლამენტის შენობაში.

საკანონმდებლო ორგანოს დახურულ უწყებად ქცევა განსაკუთრებით საგანგაშო და სამწუხაროა იმ მიღწევების ფონზე რაც საქართველოს პარლამენტს ჰქონდა ღია მმართველობის სფეროში. 2015 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა და მიიღო ღია პარლამენტის პირველი სამოქმედო გეგმა (2015-2016) და ასევე ხელი მოაწერა [„დეკლარაციას ღია პარლამენტის შესახებ“](#). დეკლარაციის თანახმად, პარლამენტი ვალდებულია მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოება, დისკრიმინაციის გარეშე, საკანონმდებლო და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში აქტიურად ჩართოს, რათა მოქალაქეების ინტერესები ეფექტიანად წარმოადგინოს. ამავე წელს „ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდოს“ (OGP Government Champions Award) გამარჯვებულად OGP-ის წევრ 65 ქვეყანას შორის საქართველო [დასახელდა](#).

პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქცია პარლამენტის ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა, არსებულ გამოწვევებზე არ რეაგირებს.

საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საქმიანობის გამჭვირვალობა, ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და დაიცვას დემოკრატიული მმართველობის პრინციპები.